

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 2

01.07.2022 წ.

ქ.გორი

მიმდინარე წლის 1 ივლისს 16 საათზე გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეორე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. იოსებ ალიმბარაშვილი
3. მალხაზ გოჩაშვილი
4. თინა ბრეგვაძე
5. ნანა ტერმაკოზაშვილი
6. ბექა ტატალაშვილი
7. იაკობ მაღალაშვილი
8. ვალერი სუხიშვილი
9. თამარ კაპანაძე

**დღის წესრიგი:**

- 1.მისალმება,დღის წესრიგის გაცნობა - დარეჯან მურადაშვილი
- 2.საბჭოს დებულებაში ცვლილებების ცვლილებების შეტანის შესახებ რეკომენდაციების განხილვა - დარეჯან მურადაშვილი
- 3.საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის მიზნით ექვს თვიანი სამოქმედო გეგმის განხილვა - დარეჯან მურადაშვილი.
- 4.მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობასთან და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა - იოსებ ალიმბარაშვილი
- 5.სკვერებისა და დასახლებების სახელდების ცვლილების შესახებ - იოსებ ალიმბარაშვილი
- 6.სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - ბექა ტატალაშვილი
- 7.მომდევნო საბჭოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრა.

**მომხსენებელი:** მრჩეველთა საბჭოს მდივანი - თამარ კაპანაძე

**მოისმინეს:**

**დარეჯან მურადაშვილი** - მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან მურადაშვილმა. მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს, გააცნო დღის წესრიგი.

ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველის საკითხის - საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანისა და რეკომენდაციების განხილვის შესახებ. დეტალურად განიხილა დებულების ყველა თავი და მუხლი და საბჭოს წევრების აქტიური ჩართულობით შემუშავდა დებულებაში შესატანი ცვლილებები და რეკომენდაციები.

დისკუსიაში აქტიურად ჩაერთვნენ საბჭოს წევრები.

**დაადგინეს:**

*გამოთქმული რეკომენდაციებისა და წინადადებების გათვალისწინებით მრჩეველთა საბჭოს დებულება ცვლილებებით წარედგინოს გორის მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად. სასურველია დაემატოს ცალკე მუხლად:*

### **საბჭოს სხდომის ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**

**საბჭოსა და მერის ურთიერთობები.** (იხ.თანდართული ფაილი #1)

ცვლილებები ერთხმად იქნა მიღებული.

**დარეჯან მურადაშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო და განიხილა ექვსთვიანი სამოქმედო გეგმა. წარადგინა წინადადება შეიქმნას საბჭოს სამუშაო ჯგუფები-კომიტეტები, რომლებიც თემატურად იმუშავებენ, მიზნობრივ ჯგუფებთან და განახორციელებენ საჭიროებათა კვლევას კითხვარის დახმარებით.

**დაადგინეს:**

*ჩამოყალიბდეს კომიტეტები, შემუშავდეს სპეციალური კითხვარი მოსახლეობის პრიორიტეტული საკითხებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით.*

**იოსებ ალიმბარაშვილი** - მისი ინფორმაციით გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ტინისხილსა (მშენებარე ეკლესიასთან) და ოთარშენის დასახლებაში (სოფლის გამოსასვლელ ნაწილში) არ არსებობს ავტობუსის მოსაცდელეები, რომლებიც მოსახლეობასთან მერობის კანდიდატის შეხვედრების დროს გამოიკვეთა და პირობა იქნა მათთვის მიცემული.

ასევე მოსახლეობასთან შეხვედრებმა აჩვენა, რომ აუცილებელია მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობა, ვინაიდან ანტისანიტარიის გამო ვერ ხერხდება მათი მოხმარება და ადამიანებს უწევთ საავტომობილო გზის გადაკვეთა, განსაკუთრებით ეს ეხება სტალინის ქუჩაზე, სპორტსკოლასა და საქართველოს ბანკს შორის არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელს, მესამე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხშირია მოსწავლეთა მხრიდან ქუჩაზე გადარბენები და ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი მაღალია.

**იოსებ ალიმბარაშვილმა** წარადგინა ინიციატივა გორში რომელიმე სკვერს მიენიჭოს დიმიტრი ყიფიანის სახელი. ასევე გორში იუსტიციის სახლის მიმდებარე შადრევნის ამოქმედების ხელშეწყობა.

**გადაწყვიტეს:** მერიის მიერ მოხდეს იმ დასახლებული პუნქტების შესწავლა, სადაც გაჩერებებია მოსაწყობი.

**რეკომენდაციის** სახით მიეწოდოს გორის მუნიციპალიტეტის მერს მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება.

**დაადგინეს:** გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოდან გამოთხოვილ იქნეს ავტობუსების მარშუტების გრაფიკი და საინფორმაციო ტაბლოებზე განთავსებული დასახლებული პუნქტების სახელწოდებები.

ასევე გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილ იქნეს გორის გეოგრაფიული სახელდების რუკა, (სადაც დატანილია ქუჩების სახელწოდებები).

**ბექა ტატალაშვილი** - ისაუბრა სარეაბილიტაციო სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ. აღნიშნა: სპორტული მცირე სტადიონების ნაწილს დაზიანებული აქვს ლითონის ბადეები, საფარი, საკალათბურთო ბადეები და ახალგაზდრებში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის საჭიროა სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

დაადგინეს: მრჩველთა საბჭოს წევრებისა და მერიის ჩართულობით შეგროვდეს ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციო მინი მოედნების შესახებ.

**დარეჯან მურადაშვილმა** - შეაჯამა შეხვედრა, მაღლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებსა და მომხსენებლებს აქტიური ჩართულობისათვის.

**საბჭოს წევრებმა** მიიჩნიეს, რომ მნიშვნელოვანია სამოქალაქო მრჩველთა საბჭოს ეფექტური მუშაობა მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

**დაადგინეს/გადაწყვიტეს:**

- I. დანართი 1. სახით წარედგინოს საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებები.
- II. საბჭოს დებულების მე-5 მუხლის, „ზ“ პუნქტის საფუძველზე მერს გაეწიოს რეკომენდაცია დიმიტრი ყიფიანის სახელის საპატივსაცემოდ გორის მუნიციპალიტეტში არსებულ რომელიმე სკვერს მიენიჭოს დიმიტრი ყიფიანის სახელი.
- III. გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოხდეს იმ დასახლებული პუნქტების შესწავლა, სადაც ავტობუსის გაჩერებებია მოსაწყობი და შესაბამისად მათი მოწყობის საკითხის გათვალისწინება მოხდეს ბიუჯეტში.

- IV. რეკომენდაციის სახით მიეწოდოს მერს, რომ მოხდეს გორის მასშტაბით არსებული მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება და მათი მოვლის ,დაცვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.
- V. გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოხდეს სპორტული მინი სტადიონების შესწავლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი აღდგენისთვის საჭირო თანხების ბიუჯეტში გათვალისწინება.

განისაზღვრა მომდევნო საბჭოს დღის წესრიგი.

საბჭოს #3 სხდომა გაიმართება 2022 წლის 1 აგვისტოს.

საბჭომ მუშაობა დაასრულა 18 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

დარეჯან მურადაშვილი

